

პროექტი VitaGLOBAL

„გლობალური ქსელების ჩამოყალიბება აგრარულ მეცნიერებსა და მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით: ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი პროგრამების მეშვეობით“

ERASMUS+ №585760-EPP-1-2017-1-AM-EPPKA2-CBHE-JP

პროექტი VitaGLOBAL – “გლობალური ქსელების ჩამოყალიბება აგრარულ მეცნიერებსა და მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით: ინტერნაციონალიზაცია ერთობლივი პროგრამების მეშვეობით” – ითვალისწინებს აგრარული მეცნიერებებისა და მევენახეობა-მელვინეობის მიმართულებით გლობალური ქსელის შექმნას ერთობლივი პროგრამების ინტერნაციონალიზაციის საშუალებით და მიზნად ისახავს აგრარული მეცნიერებებსა და მევენახეობა-მელვინეობაში ერთობლივი სასწავლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობას, რაც სტრატეგიული მნიშვნელობისაა ევროპის, სამხრეთ ამერიკის, სამხრეთ აფრიკისა და საქართველოსთვის.

სპეციფიკური მიზნები:

- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განვითარება მევენახეობასა და მელვინეობაში, რომ უზრუნველყოს კურიკულუმის ინტეგრირება და ინტერნაციონალიზაცია, მობილობის ფართო შესაძლებლობები სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის და საბოლოოდ, მოახდინოს ადგილობრივ განვითარებაში უნივერსიტეტის კონტრიბუციის ინტერნაციონალიზაცია;
- გაზარდოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზემოქმედების შესაძლებლობა მევენახეობა-მელვინეობის სექტორის ადგილობრივ განვითარებაზე, მრავალმხრივი ცოდნის ტრანსფერისა და საწარმოო და სხვა სოციო-ეკონომიკურ პარტნიორებთან ერთობლივი ძალისხმევით;
- კონსოლიდაცია გაუკეთოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო ქსელს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ აგრარული მეცნიერებებისა და მევენახეობა-მელვინეობის ადგილობრივ განვითარებას, და რომელიც იქნება უნივერსიტეტი-საწარმოს პარტნიორული ურთიერთობების საფუძველი.

ხანგრძლივობა: 3 წელი – 2018 – 2021 წწ.



VitaGLOBAL კონსორციუმი:

პროექტის კოორდინატორია როვირასა და ვირხილის უნივერსიტეტი (ესპანეთი), ხოლო კონსორციუმის შემადგენლობაშია 17 ინსტიტუცია, მათ შორის 6 - ევროპიდან (ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, პორტუგალია), 7 - სამხრეთ ამერიკიდან (ჩილე, ურუგვაი, არგენტინა), 2 - სამხრეთ აფრიკიდან და 2 - საქართველოდან.

პროექტის კოორდინატორი



P1 [როვირასა და ვირხილის უნივერსიტეტი \(URV\) \(ესპანეთი\)](#)

პროექტის პარტნიორი ინსტიტუციები



P2 [ტალკას უნივერსიტეტი \(UTalca\) \(ჩილე\)](#)



P3 [ჩილეს უნივერსიტეტი \(UCH\) \(ჩილე\)](#)



P4 [რესპუბლიკური უნივერსიტეტი \(UdeLaR\) \(ურუგვაი\)](#)



P5 [მონტევიდეოს ჯგუფის უნივერსიტეტთა ასოციაცია \(AUGM\) \(ურუგვაი\)](#)



P6 [იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი \(TeSaU\) \(საქართველო\)](#)





P7 [საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი \(GTU\) \(საქართველო\)](#)



P8 [ჩილესიტოს ეროვნული უნივერსიტეტი \(UNdeC\) \(არგენტინა\)](#)



P9 [ხუბუსის ეროვნული უნივერსიტეტი \(UNJu\) \(არგენტინა\)](#)



P10 [კუიოს ეროვნული უნივერსიტეტი \(UNCuyo\) \(არგენტინა\)](#)



P11 [სტელენბოშის უნივერსიტეტი \(SU\) \(სამხრეთ აფრიკა\)](#)



P12 [კაპის ნახევარკუნძულის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი \(CPUT\) \(სამხრეთ აფრიკა\)](#)



P13 [ალმა - ბოლონიის უნივერსიტეტი \(UNIBO\) \(იტალია\)](#)



P14 [პორტოს უნივერსიტეტი \(U.PORTO\) \(პორტუგალია\)](#)



P15 [ევროკავშირი-ლათინური ამერიკის ურთიერთობების ობსერვატორია - \(OBREAL/GLOBAL OBSERVATORY\) \(ესპანეთი\)](#)

P16 [ბორდოს უნივერსიტეტი \(UBx\) \(საფრანგეთი\)](#)

P17 [ესპანეთის ხარისხის უზრუნველყოფისა და აკრედიტაციის ეროვნული სააგენტო \(ANECA\) \(ესპანეთი\)](#)

პროექტის ფარგლებში უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო მოდულები ღვინის ტექნოლოგიის, ბიოქიმიის, მევენახეობის, მარკეტინგის მიმართულებით.

პროექტის მიხედვით, მოდული განიხილება, როგორც სასწავლო პროგრამის ნაწილი, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სიგრძითა და კრედიტების რაოდენობით. სასურველია, მოდული იყოს მოკლე, რომ უფრო მოხერხებულად ჩაისვას არსებულ სასწავლო პროგრამაში. მოდული შეიძლება შეიცავდეს ონლაინსწავლისა და სწავლების ელემენტებსაც და ითვალისწინებდეს საწარმოს მხრიდან მდგრადობის შესაძლებლობას.

მოდულების შემუშავება და განვითარება ემყარება სხვადასხვა რეგიონებიდან პარტნიორი უნივერსიტეტების განსხვავებული ექსპერტიზის ინტეგრირებასა და ერთობლივ გამოცდილებას და ითვალისწინებს არსებულ ადგილობრივ გამოწვევებს.

პროექტი ავითარებს 6 სასწავლო მოდულს, რომლებიც ინტეგრირდება არსებულ სასწავლო პროგრამაში:

მევენახეობა

- 3) ვენახის დამუშავების მეთოდების მდგრადობა (კოორდინატორი: UPorto, პილოტირება: UNCuyo, U Stellenbosch, CPUT)

ღვინის ტექნოლოგიები

- 6) შუშხუნა ღვინოების მეცნიერება და ტექნოლოგიები (კოორდინატორი: URV, პილოტირება: UTalca, SU, UNdeC)
- 2) მიკრობიოლოგიაში, ღვინის დაძველებასა და ღვინის უსაფრთხოებაში არსებული ახალი ტენდენციები (კოორდინატორი: UBx, პილოტირება: TeSaU, GTU, Udelar)

ღვინის ეკონომიკა

- 4) ღვინის მარკეტინგი და ეკონომიკური მდგრადობა (კოორდინატორი: UCuyo, პილოტირება: UNju; UCH, UNCuyo, CPUT, UdelaR)

- 1) ღვინის ტურიზმის ინოვაციები (კოორდინატორი: URV, პილოტირება: TeSaU, GTU, UNdeC, UNCuyo, UCH, CPUT)
- 5) მომხმარებლის შეფასებასთან დაკავშირებული სენსორული ანალიზი (კოორდინატორი: UNIBO, პილოტირება: UNJu, UNdeC, UTalca, UNCuyo)

მეტი დეტალური ინფორმაცია VitaGLOBAL პროექტისა და მისი აქტივობების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ [VitaGLOBAL ოფიციალურ ვებსაიტზე](#).

